

27.09.2013

№ 288



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის  
სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF  
GEORGIA



KA060134802060113

საქართველო, 0114 თბილისი, გ. გულუას ქ. N6; ტელ: 2727200, 2727220, ფაქსი: 2727237; www.moe.gov.ge  
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel: (+995 32) 2727200, 2727220, Fax: 2727237; www.moe.gov.ge

# 2107

25 / სექტემბერი / 2013 წ.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის  
დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 13 სექტემბერს შემოსული N528 წერილის პასუხად გიგზავნით სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიღებულ შემდეგ ინფორმაციას:

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო ქ. ზესტაფონში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვებას აწარმოებს ჩიკაშუას ქუჩაზე განთავსებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვების პუნქტის საშუალებით. დაკვირვება წარმოებს დღეში 3-ჯერ.

2010-2012 წლებში ქ. ზესტაფონის ატმოსფერული ჰაერის მანგანუმის დიოქსიდით დაბინძურების მახასიათებლები შემდეგნაირად გამოიყურება:

წელი	საშუალო წლიური კონცენტრაცია, მგ/მ <sup>3</sup>	ერთჯერადი მაქსიმალური კონცენტრაცია მგ/მ <sup>3</sup>
2010	0.0069	0.025
2011	0.0077	0.033
2012	0.0068	0.040


ასევე გაცნობებთ, რომ თანახმად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანებისა N38/5 (24.02.2003წ.) მანგანუმის დიოქსიდის ზღვრულად დასაშვები საშუალო, სადღეღამისო კონცენტრაცია შეადგენს  $0.001 \text{ მგ/მ}^3$ -ს, ხოლო მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია -  $0.01 \text{ მგ/მ}^3$ -ს. აქედან გამომდინარე, 2012 წელს ქ. ზესტაფონის ატმოსფერულ ჰაერში მანგანუმის დიოქსიდის საშუალო წლიური მნიშვნელობა 6,8-ჯერ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ საშუალო სადღეღამისო კონცენტრაციას, ხოლო მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაცია კი 4-ჯერ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

რაც შეეხება ქ. ზესტაფონის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ ინფორმაციას, გაცნობებთ, რომ იგი ყოველთვიურად ქვეყნდება საინფორმაციო ბიულეტენში "მოკლე მიმოხილვა საქართველოს გარემოს დაბინძურების შესახებ". 2009-2012 წლების ბიულეტენები განთავსებულია ვებ-გვერდზე: [aarhus.ge](http://aarhus.ge), ხოლო მიმდინარე - [meteo.gov.ge](http://meteo.gov.ge)-ზე.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი



ეკატერინე ბენდელიანი